# ხელშეკრულება N131

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ხაშური 12 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ ხაშურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი გამგეობის გიორგი გურასპაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „პირამიდა+777" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის მერაბ ხაჩიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა *საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №36 და 2015 წლის 3 აგვისტოს N84 განკარგულებებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,* საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობის და სოფელ ოძისის წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დანართი N1-ის, შპს „არქიტექტორი"-ს მიერ შედგენილი სახარჯთარიცხვო გაანგარიშებების (დანართი ხარჯთაღრიცხვები) და ინდივიდუალური მეწარმე „ომარ ხაჯაველიძის" საექსპერტო დასკვნების შესაბამისად (CPV კოდი: 45200000).

## 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **6 565.38 (ექვსიათას ხუთასსამოცდახუთი ლარი და 38 თეთრი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით.**

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.**

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: **ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.**

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2015 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.**

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელთან ერთად შემსყიდველს წარედგინება შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა N2), დადასტურებულები შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ;

5.2. შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტსა და შესრულებული სამუშაოს აქტ ფორმა N2-თან ერთად წარედგინება შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები;

5.3. შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტი, შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა N2) წარედგინება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის **ან ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ;**

5.4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **2015 წლის 12 აგვისტოს N131** ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

## 6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.4. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით.

6.5. საგარანტიო პერიოდში, რომელიც განსაზღვრულია **3 წლით**, ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, ეტაპობრივად.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/ სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
**7.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 85%-ის ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ხოლო დანარჩენი თანხის ანაზღაურება განხორციელდება იმავე წესით მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ან/და სხვა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს შესაბამისი სერთიფიკატის მქონე იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ (შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნის გაცემის უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იქნას იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ წესდებაში არსებული ჩანაწერით);**
7.4. ანგარიშსწორების ადგილია: ქ. ხაშური.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;
ბ) აანაზღაუროს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს შესყიდვის ობიექტების ჩამონათვალი, დააზუსტოს შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების ფარგლებში;
გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
**8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
**გ) ხელშეკრულების გაფორმებამდე შეისწავლოს შესყიდვის ობიექტის აღწერა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. გამოვლენილი უზუსტობების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებლის პრეტენზია არ განიხილება.**
**დ) საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ან/და სხვა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გაცემული უნდა იყოს შესაბამისი სერთიფიკატის მქონე იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ (შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნის გაცემის უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იქნას იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ წესდებაში არსებული ჩანაწერით);**
**ე) შემსყიდველ ორგანიზაციაში თითოეულ ობიექტზე უნდა წარმოადგინოს სამუშაოს დაწყებამდე, სამუშაოს მიმდინარეობის და სამუშაოების დასრულების შემდგომი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები.**
8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულელობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით;
9.7. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ შეფერხების ფაქტის წარმოშობისას დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი;
14.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.
14.5. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.6. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს", ერთი „მიმწოდებელს"). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5.ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022; საიდენტიფიკაციო კოდი: N243908848.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი _____ გიორგი გურასპაშვილი

ბ.ა.

**მიმწოდებელი:**

შპს „პირამიდა+777"
ქ. ხაშური, შოლის ქ. N14;
სს „ლიბერთი ბანკის" (ხაშურის ფილიალი 435), LBRTGE22;
ა/ა GE95LB0610003536080516; საიდენტიფიკაციო კოდი: N243900294.

შპს „პირამიდა+777"-ის დირექტორი _____ მერაბ ხაჩიძე

ბ.ა.

# ხელშეკრულება N131-ის დანართი N1

| N | ადმინისტრაციული ერთეული | დასახელება | ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | ხცისი | სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა | 5 075.90 |
| 2 | ცოცხნარა | სოფელ ოძისის  წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა | 1 489.48 |
| სულ ჯამი (დღგ-ს გათვალისწინებით) | | | 6 565.38 |

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

გიორგი გურასპაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „პირამიდა+777"-ის
დირექტორი

მერაბ ხაჩიძე

<u>შ.პ.ს. `არქიტექტორი"</u>

ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. #16

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: **1489,48** ლარი

## სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

### სოფელ ოძისის წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა

შ.პ.ს. `არქიტექტორი"-ს დირექტორი: /მ. მაყიშვილი/

შეადგინა:

ქ. ხაშური

2015წ

ჯამური ხარჯთაღრიცხვა

სოფელ ოძისის წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა

ხარჯთაღრიცხვა თანხით: **1489,48** ლარი

| № | სახარჯთაღრიცხვო ნუგარიშის და ხარჯთაღრიცხვის ნომერი | თავების, ობიექტების, დასახელება | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება /ლარი/ | | | | საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სამშენებლო სამუშაოები დ.ღ.გ.-ს ჩათვლით | სამშენებლო სამუშაოები დ.ღ.გ.-ს გარეშე | სახარჯთ. დოკ. შედგ. | | |
| 1 | ხარჯთ. №1 | სოფელ ოძისის წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა | 1489,48 | 1262,27 | 2,5419% | 37,86 | |
| | | ჯამი: | **1489,48** | 1262,27 | | **37,86** | |

შ.პ.ს. „არქიტექტორი"-ს დირექტორი: მ. მაყაშვილი

შეადგინა:

## სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

## სოფელ ოძისის წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება **1489,48** ლარი

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდენ. | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ.ფასი | სულ | ერთ.ფასი | სულ | ერთ.ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| | **ჭა №1** | | | | | | | | | |
| 1 | სახურავის მოწყობა №1 შემკრებ ჭაზე მონოლითური ბეტონით1,0X2,0 1 ცალი | ცალი | 1 | | | 110,00 | 110,00 | | | 110,00 |
| | ბეტონი მ-250 | $მ^3$ | 0,35 | 100 | 35,00 | | | 32,00 | 11,20 | 46,20 |
| | ყალიბის ფარი | მ2 | 6,0 | 10,5 | 63,00 | | | 4,00 | 24,00 | 87,00 |
| | არმატურა A-III; Φ-16 | გ/მ | 28,0 | 2,09 | 58,52 | | 0,00 | 0,149 | 4,17 | 62,69 |
| | ლურსმანი | კგ | 1,0 | 2,4 | 2,40 | | 0,00 | | | 2,40 |
| | მავთული შესაკრავი | კ/გ | 2,0 | 1,8 | 3,60 | | 0,00 | | | 3,60 |
| | საკონტროლო მილი დ 50მმ | გ/მ | 1,0 | 5,3 | 5,30 | | 0,00 | | | 5,30 |
| 2 | შიდა კედლების ჰიდროიზოლაცია | მ2 | 6,0 | 4,70 | 28,20 | 2,00 | 12,00 | | | 40,20 |
| 3 | ჭის სახურავის დამუშავება ბიტუმის ემულსიით | მ2 | 3,0 | 2,6 | 7,80 | 3,00 | 9,00 | | | 16,80 |
| | **ჭა №2** | | | | | | | | | |
| 4 | წყალშემკრები ჭის მოწყობა ბეტონით მ-250 ძირით და სახურავითყალიბის მოწყობით 1,0x1,5x0,7 ბიტუმის მასტიკის იზოლაციის მოწყობით | ცალი | 1 | | | 155,00 | 155,00 | | | 155,00 |
| | ბეტონი მ-250 | $მ^3$ | 1,100 | 100,00 | 110,00 | | | 32,00 | 35,20 | 145,20 |
| | ყალიბის ფარი | მ2 | 12,0 | 10,5 | 126,00 | | | 4,00 | 48,00 | 174,00 |
| | არმატურა A-III; Φ-16 | გ/მ | 12,0 | 2,09 | 25,08 | | | 0,149 | 1,79 | 26,87 |
| | ლურსმანი | კგ | 3,0 | 2,4 | 7,20 | | | | | 7,20 |
| | მავთული შესაკრავი | კ/გ | 2,0 | 1,8 | 3,60 | | | | | 3,60 |
| | ზედმეტი წყლის ფოლადის საკონტროლო მილი დ 50მმ | გ/მ | 1,0 | 5,4 | 5,40 | | | | | 5,40 |
| 5 | ჭის კედლების დამუშავება ბიტუმის ემულსიით | მ2 | 3,8 | 2,6 | 9,88 | 3,00 | 11,40 | | | 21,28 |
| 6 | შიდა კედლების ჰიდროიზოლაცია | მ2 | 7,0 | 4,70 | 32,90 | 2,00 | 14,00 | | | 46,90 |

| 1 | 2 | 3 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მასალების ტრანსპორტირება და მიტანა სამუშაო ადგილამდე საჭაპნე ტრანსპორტით 1,5კმ მანძილზე | ლარი | 1 | | | 80,00 | 80,00 | | | 80,00 |
| | **ჯამი** | ლარი | | | **523,88** | | **391,40** | | **124,36** | **1039,64** |
| | ზედნადები ხარჯები 10% | % | | | | | | | | 103,96 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 1143,60 |
| | გეგმიური მოგება 8% | % | | | | | | | | 91,50 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 1235,10 |
| | ექსპერტიზის ხარჯი 2,2% | % | | | | | | | | 27,17 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 1262,27 |
| | დღგ 18% | % | | | | | | | | 227,21 |
| | **ჯამი:** | ლარი | | | | | | | | **1489,48** |

შეადგინა: მ. მაყიშვილი

# დეფექტური აქტი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნმა: ხაშური მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთ. სპეციალისტმა: ელგუჯა ივანაშვილმა, სპეციალისტის მ/შ: ალექსანდრე მჭედლიშვილმა, შ.პ.ს. "არქიტექტორი"-ს დირექტორმა მ. მაყიშვილმა და გამგებლის წარმომადგენელმა ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში დავით გოგალაძემ შევადგინეთ აღნიშნული აქტი სოფელ ოძისის წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობის სამუშაოებზე

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდენ. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 5 | 6 |
| | **ჭა №1** | | | |
| 1 | სახურავის მოწყობა №1 შემკრებ ჭაზე მონოლითური ბეტონით კუთხოვანით 1,0X2,0 1 ცალი | ცალი | 1 | |
| | **ჭა №2** | | | |
| 2 | წყალშემკრები ჭის მოწყობა ბეტონით მ-250 ძირით და სახურავითყალიბის მოწყობით 1,0x1,5x0,7 ბიტუმის მასტიკის იზოლაციის მოწყობით | ცალი | 1 | |
| 3 | მასალების ტრანსპორტირება და მიტანა სამუშაო ადგილამდე საჭაპანე ტრანსპორტით 1,5კმ მანძილზე | ლარი | 1 | |

1. /ალექსანდრე მჭედლიშვილი/

2. /ელგუჯა ივანაშვილი/

3. /მერაბი მაყიშვილი/

4. /დავით გოგალაძე/

# ინდ. მეწარმე „ომარ საჯაველიძე“

სოფ.ოძისის წყლის სათავე ნაგებობის

მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის



## საექსპერტო დასკვნა

2015 წელი

შემოსავლების
სამსახური

მცირე ბიზნესის სტატუსის

# სერტიფიკატი

№ 025 - 02858

სერტიფიკატით დასტურდება, რომ
ფიზიკურ პირს: ომარ ხაჯაველიძე
პირადი ნომერი: 57001008818

სამშენებლო, საპროექტო, საექსპერტო სამუშაოები
(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს

## მცირე ბიზნესის სტატუსი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი 03 იანვარი 2014 წელი

მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებულია 03 იანვარი 2014 წელი

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის
უფროსი/მოადგილე

ID 64342

3310518

შ ე ზ ღ უ დ უ ლ ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა
"არქიტექტორი"

ქ. ხაშური,რუსთაველის ქ. № 16 ტელ: 24-57-55 599401322

№ 64 "30" ივლისი 2015წ.

ინდ. მეწარმე

ბატონ ომარ ხაჯაველიძეს

ბატონო ომარ,

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქიტექტორი" წარმოგიდგენთ 1. სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობისა და 2. სოფელ ოძისის წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებს.

გთხოვთ მოგვცეთ წარმოდგენილი დოკუმენტაციების საექსპერტო დასკვნა.

დანართი: 1. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები

პატივისცემით

შ.პ.ს. "არქიტექტორი"-ს დირექტორი: /მერაბი მაყიშვილი/

saqarTvelo

ინდივიდუალური მეწარმე

„ომარ ხაჯაველიძე“

5700 q. xaSuri, guramiSvilis q. #43
საიდენტიფიკაციო კოდი 57001008818

GEORGIA

INDIVIDUAL ENTERPRIZER

„OMAR KHAJAVELIDZE''

5700 KHASHURI, st. Guramishvili #43

id. no: 57001008818

N28 05.08.2015წელი

სოფ.ოძისში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის საექსპერტიზო დასკვნა

შ.პ.ს.“არქიტექტორის“დირექტორის ბ-ნ მერაბ მაყიშვილის 2015 წლის 30 ივლისის N64 წერილის საფუძველზე ექსპერტიზა ჩავუტარე

სოფ.ოზისში წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას და დადგინდა:ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1489.48 ლარი,ხარჯთაღრიცხვა შედგენილია რესურსული მეთოდით მასალების ღირებულებები აღებულია სამშენებლო რესურსების ფასების შესაბამისად 2015 წლის მეორე კვარტლის დონეზე,დარიცხვები აღებულია დადგენილი ნორმების ფარგლებში შესაძლებელია მასში გათვალისწინებული სამუშაოების შესარულება ტექნიკური ნორმებისა და ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით,რის გამოც იგი მისაღებია

ინდ.მეწარმე ექსპერტი:ომარ ხაჯაველიძე

## სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

## სოფელ ოძისის წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება **1489,48** ლარი

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. | რაოდენ. | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ.ფასი | სულ | ერთ.ფასი | სულ | ერთ.ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| | **ჭა №1** | | | | | | | | | |
| 1 | სახურავის მოწყობა №1 შემკრებ ჭაზე მონოლითური ბეტონით1,0X2,0 1 ცალი | ცალი | 1 | | | 110,00 | 110,00 | | | 110,00 |
| | ბეტონი მ-250 | $მ^3$ | 0,35 | 100 | 35,00 | | | 32,00 | 11,20 | 46,20 |
| | ყალიბის ფარი | მ2 | 6,0 | 10,5 | 63,00 | | | 4,00 | 24,00 | 87,00 |
| | არმატურა A-III; Ф-16 | გ/მ | 28,0 | 2,09 | 58,52 | | 0,00 | 0,149 | 4,17 | 62,69 |
| | ლურსმანი | კგ | 1,0 | 2,4 | 2,40 | | 0,00 | | | 2,40 |
| | მავთული შესაკრავი | კ/გ | 2,0 | 1,8 | 3,60 | | 0,00 | | | 3,60 |
| | საკონტროლო მილი დ 50მმ | გ/მ | 1,0 | 5,3 | 5,30 | | 0,00 | | | 5,30 |
| 2 | შიდა კედლების ჰიდროიზოლაცია | მ2 | 6,0 | 4,70 | 28,20 | 2,00 | 12,00 | | | 40,20 |
| 3 | ჭის სახურავის დამუშავება ბიტუმის ემულსიით | მ2 | 3,0 | 2,6 | 7,80 | 3,00 | 9,00 | | | 16,80 |
| | **ჭა №2** | | | | | | | | | |
| 4 | წყალშემკრები ჭის მოწყობა ბეტონით მ-250 ძირით და სახურავითყალიბის მოწყობით 1,0x1,5x0,7 ბიტუმის მასტიკის იზოლაციის მოწყობით | ცალი | 1 | | | 155,00 | 155,00 | | | 155,00 |
| | ბეტონი მ-250 | $მ^3$ | 1,100 | 100,00 | 110,00 | | | 32,00 | 35,20 | 145,20 |
| | ყალიბის ფარი | მ2 | 12,0 | 10,5 | 126,00 | | | 4,00 | 48,00 | 174,00 |
| | არმატურა A-III; Ф-16 | გ/მ | 12,0 | 2,09 | 25,08 | | | 0,149 | 1,79 | 26,87 |
| | ლურსმანი | კგ | 3,0 | 2,4 | 7,20 | | | | | 7,20 |
| | მავთული შესაკრავი | კ/გ | 2,0 | 1,8 | 3,60 | | | | | 3,60 |
| | ზედმეტი წყლის ფოლადის საკონტროლო მილი დ 50მმ | გ/მ | 1,0 | 5,4 | 5,40 | | | | | 5,40 |
| 5 | ჭის კედლების დამუშავება ბიტუმის ემულსიით | მ2 | 3,8 | 2,6 | 9,88 | 3,00 | 11,40 | | | 21,28 |
| 6 | შიდა კედლების ჰიდროიზოლაცია | მ2 | 7,0 | 4,70 | 32,90 | 2,00 | 14,00 | | | 46,90 |

5.09.2017

| 1 | 2 | 3 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მასალების ტრანსპორტირება და მიტანა სამუშაო ადგილამდე საჭაპანე ტრანსპორტით 1,5კმ მანძილზე | ლარი | 1 | | | 80,00 | 80,00 | | | 80,00 |
| | **ჯამი** | ლარი | | | **523,88** | | **391,40** | | **124,36** | **1039,64** |
| | ზედნადები ხარჯები 10% | % | | | | | | | | 103,96 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 1143,60 |
| | გეგმიური მოგება 8% | % | | | | | | | | 91,50 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 1235,10 |
| | ექსპერტიზის ხარჯი 2,2% | % | | | | | | | | 27,17 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 1262,27 |
| | დღგ 18% | % | | | | | | | | 227,21 |
| | **ჯამი:** | ლარი | | | | | | | | **1489,48** |

შეადგინა: ბ. მაყიშვილი

<u>შ.პ.ს. `არქიტექტორი"</u>

ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. #16

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: **5075,90** ლარი

## სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

### სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა

შ.პ.ს. `არქიტექტორის" დირექტორი: /მ. მაყიშვილი/

შეადგინა:

ქ. ხაშური

2015 წ

ჯამური ხარჯთაღრიცხვა

სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა

**ხარჯთაღრიცხვა თანხით: 5075,90 ლარი**

| № | სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის და ხარჯთაღრიცხვის ნომერი | თავების, ობიექტების, დასახელება | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება /ლარი/ | | | | საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სამშენებლო სამუშაოები დ.ღ.გ.-ს ჩათვლით | სამშენებლო სამუშაოები დ.ღ.გ.-ს გარეშე | სახარჯთ. დოკ. შედგ. | | |
| 1 | ხარჯთ. №1 | სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა | 5075,90 | 4301,61 | 2,5419% | 129,02 | |
| | | **ჯამი:** | **5075,90** | 4301,61 | | **129,02** | |

მ.პ.ს. „არქიტექტორი"-ს დირექტორი: მ. მაყაშვილი

შეადგინა:

## სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება #1

### სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა

ხარჯთაღრიცხვა თანხით: **5075,90** ლარი

| № | სამუშაოთა დასახელება | განზ. | რაოდ. | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | | | | | | | | | | |
| 1 | ტერიტორიის გასუფთავება ხე-ბუჩქნარისაგან წყალსადენი ტრასის ქვეშ სამ. სიგანით 0,6მ | გ/მ | 250 | | | 0,75 | 187,5 | | | 187,50 |
| 2 | გრუნტის გაჭრა ხელით შემდგომში უკუმიყრით პლასტმასის მილის ჩასაწყობად საშუალოდ 30 სმ–ზე | გრ/მ | 600 | | | 3,50 | 2100,00 | | | 2100,00 |
| 3 | პლასტმასის მილის ჩაწყობა არხში დ–40მმ . 10ატმ | გრ/მ | 600 | 1,60 | 960,00 | 0,15 | 90,00 | 0,20 | 120,00 | 1170,00 |
| 4 | გადაბმის ქურო დ–40მმ | ც | 6 | 4,24 | 25,44 | | | | | 25,44 |
| 5 | მასალების ტრანსპორტირება და მიტანა სამუშაო ადგილამდე საჭაპანე ტრანსპორტით 1,5კმ მანძილზე | ლარი | 1 | | | 60,00 | 60,00 | | | 60,00 |
| | **ჯამი :** | | | | | | | | | 3542,94 |
| | ზედნადები ხარჯები 10% | % | | | | | | | | 354,29 |
| | ჯამი: | ლარი | | | | | | | | 3897,23 |
| | გეგმიური დაგროვება 8% | % | | | | | | | | 311,78 |
| | ჯამი: | ლარი | | | | | | | | 4209,01 |
| | ექსპერტიზის ხარჯები 2,2% | % | | | | | | | | 92,60 |
| | ჯამი: | ლარი | | | | | | | | 4301,61 |
| | დ.ღ.გ. 18% | % | | | | | | | | 774,29 |
| | **ჯამი:** | ლარი | | | | | | | | **5075,90** |

შეადგინა: მ. მაჟიშვილი

# დეფექტური აქტი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნმა: ხაშური მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთ. სპეციალისტმა: ელგუჯა ივანაშვილმა, სპეციალისტის მ/შ: ალექსანდრე მჭედლიშვილმა, შ.პ.ს. "არქიტექტორი"-ს დირექტორმა მ. მაყიშვილმა და გამგებლის წარმომადგენელმა ხცისის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა ჯიქურაშვილმა შევადგინეთ აღნიშნული აქტი სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობის სამუშაოებზე

| № | სამუშაოთა დასახელება | განზ. | რაოდენობა | მასალა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ტერიტორიის გასუფთავება ხე-ბუჩქნარისაგან წყალსადენი ტრასის ქვეშ საშ. სიგანით 0,6მ | გ/მ | 250 | |
| 2 | გრუნტის გაჭრა ხელით შემდგომში უკუმიყრით პლასტმასის მილის ჩასაწყობად საშუალოდ 30 სმ-ზე | გრ/მ | 600 | |
| 3 | პლასტმასის მილის ჩაწყობა არხში დ-40მმ . 10ატმ | გრ/მ | 600 | |
| 4 | გადაბმის ქურო დ-40მმ | ც | 6 | |
| 5 | მასალების ტრანსპორტირება და მიტანა სამუშაო ადგილამდე საჭაპანე ტრანსპორტით 1,5კმ მანძილზე | ლარი | 1 | |

1. /ალექსანდრე მჭედლიშვილი/

2. /ელგუჯა ივანაშვილი/

3. /მერაბი მაყიშვილი/

4. /ზაზა ჯიქურაშვილი/

# ინდ. მეწარმე „ომარ საჯაველიძე“

სოფ.კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის

მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის



## საექსპერტო დასკვნა

2015 წელი

შემოსავლების
სამსახური

მცირე ბიზნესის სტატუსის

# სერტიფიკატი

№ 025 - 02858

სერტიფიკატით დასტურდება, რომ
ფიზიკურ პირს: ომარ ხაჯაველიძე
პირადი ნომერი: 57001008818

სამშენებლო, საპროექტო, საექსპერტო სამუშაოები
(საქმიანობის სახე)

მინიჭებული აქვს

## მცირე ბიზნესის სტატუსი

სერტიფიკატის გაცემის თარიღი 03 იანვარი 2014 წელი

მცირე ბიზნესის სტატუსი მინიჭებულია 03 იანვარი 2014 წელი

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის
უფროსი/მოადგილე

ID 64342

3310518

saqarTvelo

ინდივიდუალური მეწარმე

„ომარ ხაჯაველიძე“

5700 q. xaSuri, guramiSvilis q. #43
საიდენტიფიკაციო კოდი 57001008818

GEORGIA

INDIVIDUAL ENTERPRIZER

„OMAR KHAJAVELIDZE''

5700 KHASHURI, st. Guramishvili #43

id. no: 57001008818

N27 05.08.2015წელი

სოფ.კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის საექსპერტიზო დასკვნა

შ.პ.ს.“არქიტექტორის“დირექტორის ბ-ნ მერაბ მაყიშვილის 2015 წლის 30 ივლისის N64 წერილის საფუძველზე ჩემს მიერ ჩატარებული იქნა სოფ. კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა და დადგინდა:ობიექტის წინასწარი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 5075.9 ლარი;ხარჯთაღრიცხვაში დარიცხვები აღებულია დადგენილი ნორმების ფარგლებში,მასალების ღირებულებები შესაბამისობაშია სამშენებლო რესურსების ფასებთან 2015 წლის მეორე კვარტლის დონეზე.წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით შესაძლებელია მასში გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ტექნიკური ნორმებისა და ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით,რის გამოც იგი მისაღებია.

ინდ.მეწარმე ექსპერტი:ომარ ხაჯაველიძე

## სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება #1

### სოფელ კრისხევის სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა

ხარჯთაღრიცხვა თანხით: **5075,90** ლარი

| N | სამუშაოთა დასახელება | განზ. | რაოდ. | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | | | | | | | | | | |
| 1 | ტერიტორიის გასუფთავება ხე-ბუჩქნარისაგან წყალსადენი ტრასის 1,2მ სიგ. სიგანით 0,68 | გ/მ | 250 | | | 0,75 | 187,5 | | | 187,50 |
| 2 | გრუნტის გაჭრა ხელით შემდგომში უკუმიყრით პლასტმასის მილის ჩასაწყობად საშუალოდ 30 სმ-ზე | გრ/მ | 600 | | | 3,50 | 2100,00 | | | 2100,00 |
| 3 | პლასტმასის მილის ჩაწყობა არხში დ-40მმ . 10ატმ | გრ/მ | 600 | 1,60 | 960,00 | 0,15 | 90,00 | 0,20 | 120,00 | 1170,00 |
| 4 | გვეანბის ქურო დ-40მმ | ც | 6 | 4,24 | 25,44 | | | | | 25,44 |
| 5 | მასალების ტრანსპორტირება და მიტანა სამუშაო ადგილამდე საჭაპასე ტრანსპორტით 1,5კმ მანძილზე | ლარი | 1 | | | 60,00 | 60,00 | | | 60,00 |
| | ჯამი : | | | | | | | | | 3542,94 |
| | ზედნადები ხარჯები 10% | % | | | | | | | | 354,29 |
| | ჯამი: | ლარი | | | | | | | | 3897,23 |
| | გეგმიური დაგროვება 8% | % | | | | | | | | 311,78 |
| | ჯამი: | ლარი | | | | | | | | 4209,01 |
| | ექსპერტიზის ხარჯები 2,2% | % | | | | | | | | 92,60 |
| | ჯამი: | ლარი | | | | | | | | 4301,61 |
| | დ.ღ.გ. 18% | % | | | | | | | | 774,29 |
| | ჯამი: | ლარი | | | | | | | | **5075,90** |

შეადგინა: მ. მაჭიჭეიანი

ექსპერტიზის სიგელი
5.08.2015

# ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ხაშური 12 აგვისტო 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის 12 აგვისტოს N131 ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

| | |
|---|---|
| გიორგი პაპიაშვილი | ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი |
| გოდერძი კახეთელიძე | ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსი |
| გიორგი ულუმბელაშვილი | ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების სპეციალისტი |
| პაატა კობალაძე | ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების ხარისხის კონტროლის განყოფილების მთავარი სპეციალისტი |
| ელგუჯა ივანაშვილი | ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი |
| ალექსანდრე მჭედლიშვილი | ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების სპეციალისტი |
| ზაზა ჯიქურაშვილი | გამგებლის წარმომადგენელი ხცისის ადმინისტრაციულ ერთეულში |
| დავით გოგალაძე | გამგებლის წარმომადგენელი ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში |